

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
“საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა
ასოციაცია“

წესდება

თბილისი

2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია“ (შემდგომში „ასოციაცია“) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ და წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;
- 1.2 ასოციაციის სრული სახელწოდებაა:
ქართულად: “არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია“;
ინგლისურად: Georgian Association of School Administrators(GASA);
- 1.3 “არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის“ დამფუძნებლები არიან:
 1. გრიგოლ მურდულია
 2. არჩილ სუმბაძე
 3. მანანა თურქაძე
- 1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად “არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი” იძენს იურიდიული პირის უფლებებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან;
- 1.5 ასოციაციას უფლება აქვს თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები; შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოში;
- 1.6 ასოციაცია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით და არსებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ფაქტებით და კონვენციებით;
- 1.7 “არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი” პასუხს არ აგებს თავის წევრთა ვალდებულებებზე, ასევე წევრები არ აგებენ პასუხს “არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის” ვალდებულებებზე;
- 1.8 ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, მათ შორის, უცხოურ ვალუტაში. ასევე მას აქვს ბეჭედი თავისი დასახელებით, ბლანკი და სხვა ატრიბუტები;
- 1.9 ასოციაცია, თავის მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- 1.10 ასოციაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N45, ბინა N63;
- 1.11 ასოციაციის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართია:
info@gasa.edu.ge;
- 1.12 ასოციაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. ასოციაციის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

2.1 ასოციაციის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- განათლების ადმინისტრატორთა პროფესიული განვითარება;
- განათლების ადმინისტრატორთა პროფესიული სტანდარტის განვითარება და მათი დანერგვის მხარდაჭერა;
- პროფესიის პოპულარიზება და პრესტიჟის ამაღლება;
- სკოლის მართვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;
- პროფესიული საგანმანათლებლო რესურსების მომზადება და გავრცელება;
- პროფესიული ბეჭდური თუ ელექტრონული ჟურნალის პერიოდული გამოცემა;
- გაცვლითი პროგრამებისა და პროფესიული სტაჟირების უზრუნველყოფა;
- მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტრენინგების ჩატარება;
- კონფერენციების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების ჩატარება.

მუხლი 3. ასოციაციის დამფუძნებელთა/წევრთა უფლებები და მოვალეობები, ასოციაციის წევრად მიღების წესი

- 3.1 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც აქვს მოტივაცია ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნების მიღწევას და დაიცავს წინამდებარე წესდებს.
- 3.2 ასოციაციაში წევრად მიღება ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომლის ნიმუშიც დანართის სახით თან ერთვის წესდებს.
- 3.3 გადაწყვეტილებას წევრად მიღების შესახებ იღებს ასოციაციის გამგეობა განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.
- 3.4 ასოციაციის წევრს უფლება აქვს:
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ მოწყობილ ყველა საერთო ღონისძიებაში;
 - თანასწორი უფლებით მონაწილეობდეს ასოციაციის წევრთა საერთო კრების მუშაობაში;
 - აირჩიოს და არჩეულ იქნას ასოციაციის მმართველობით, აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოში, აგრეთვე - არჩეულ იქნას ასოციაციაში არსებულ ნებისმიერ თანამდებობაზე.
- 3.5 ასოციაციის წევრი ვალდებულია:
- დაემორჩილოს წესდებს და საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებებს.
 - გაუფრთხილდეს ასოციაციის ღირსებასა და ავტორიტეტს;
 - გაუფრთხილდეს ასოციაციის ქონებას და რესურსებს.
- 3.6 ასოციაციის წევრის უფლებამოსილების შეჩერება ხდება გამგეობის მიერ:
- ასოციაციის წევრის განცხადების საფუძველზე;
 - წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;
 - სასამართლოს გადაწყვეტილებით წევრს ქმედუუნაროდ ცნობისას, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.
- 3.7 ასოციაციის წევრის ასოციაციიდან გასვლა ხორციელდება და მისი უფლებამოსილება წყდება გამგეობის გადაწყვეტილებით:
- ასოციაციის წევრის განცხადების საფუძველზე;

- 3.8 ასოციაციის წევრს წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით უფლებამოსილება ჩამოერთმევა და მოხდება მისი გარიცხვა ასოციაციიდან, თუ:
- მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს;
 - იგი არღვევს წინამდებარე წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 4. მართვის ორგანოები

- 4.1 ასოციაციის მართვის ორგანოებია წევრთა საერთო კრება და გამგეობა.
- 4.2 ასოციაციის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ასოციაციის წევრთა საერთო კრება; ასოციაციის დამფუძნებლები მონაწილეობენ წევრთა საერთო კრების საქმიანობაში ისევე როგორც წევრები.
- 4.2.1 ასოციაციის წევრთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ ან ნებისმიერ დროს, როდესაც ამას ასოციაციის ინტერესები მოითხოვს;
- 4.2.2 გამგეობა ვალდებულია, კრების მოწვევის შესახებ ასოციაციის ყველა წევრს აცნობოს კრების თარიღამდე ერთი კვირით ადრე მაინც;
- 4.2.3 ასოციაციის წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;
- 4.2.4 ასოციაციის წევრთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:
- (ა) გამგეობის წევრთა არჩევა ასოციაციის წევრთაგან;
 - (ბ) გამგეობის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგებისა და ანგარიშების დამტკიცება;
 - (გ) ასოციაციის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა;
 - (დ) ასოციაციის მიზნის შეცვლა;
 - (ე) ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
 - (ვ) ასოციაციის ქონების გასხვისება და/ან სხვაგვარად განკარგვა ასოციაციის საქმიანობის, ორგანიზაციული განვითარების, მისი მიზნების განხორციელების ხელშეწყობის ან საქველმოქმედო მიზნით;
 - (ზ) გამგეობის წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
 - (თ) წყვეტს ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით სხვა ორგანოთა უფლებამოსილებებს არ განეკუთვნება.
- 4.2.5 საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით;
- 4.2.6 ასოციაციის წევრთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზეც აუცილებელია კრების თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერა. ისინი აირჩვიან ასოციაციის წევრთა რიგებიდან ასოციაციის წევრთა საერთო კრების მიერ დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით კრების ჩასატარებლად და მისი მიმდინარეობის შესახებ სათანადო დოკუმენტაციის შესადგენად და კანონის შესაბამისად დასარეგისტრირებლად;
- 4.3 ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომელიც შედგება 5 წევრისგან და აირჩევა ასოციაციის წევრთა საერთო კრების მიერ ასოციაციის წევრთაგან უვადოდ.
- გამგეობის წევრები არიან:

1. გრიგოლ მურღულია

2. არჩილ სუმბაძე
3. მანანა თურქაძე
4. ავთანდილ აბდუშელიშვილი
5. გიორგი ჩავლეიშვილი

4.3.1 გამგეობა ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის სამოქმედო გეგმებსა და ანგარიშებს; შეიმუშავებს და ამტკიცებს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას;
- განსაზღვრავს ასოციაციის სტრუქტურულ ერთეულების ძირითად მიმართულებებს;
- თანხმობას აძლევს აღმასრულებელ დირექტორს ასოციაციის თანამშრომლების დანიშვნასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებით;
- იღებს ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადაწყვეტილებებს ასოციაციის საწესდებო მიზნების მისაღწევად.

4.3.2 გამგეობის მუშაობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც იმავდროულად არის გამგეობის წევრი.

4.3.3 გამგეობის სხდომებს იწვევს აღმასრულებელი დირექტორი. სათათბირო ხმის უფლებით სხდომას შესაძლოა დაესწრონ მოწვეული წევრები. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივით. რიგგარეშე სხდომა ასევე შეიძლება მოწვეულ იქნას გამგეობის წევრთა ორი მესამედის წერილობითი მოთხოვნით;

4.3.4 გამგეობის გადაწყვეტილება უნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;

4.3.5 გადაწყვეტილება გამგეობის სხდომაზე მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით;

4.3.6 გამგეობის წევრს უფლებამოსილება უწყდება საერთო კრების მიერ:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ გამგეობის წევრის საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან/და იგი არღვევს წინამდებარე წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

4.3.7 გამგეობა ანგარიშვალდებულია ასოციაციის წევრთა საერთო კრების წინაშე;

4.3.8 გამგეობის მიერ ჩატარებული თითოეული სხდომის შემდეგ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს აღმასრულებელი დირექტორი და სხდომის მდივანი.

მუხლი 5. აღმასრულებელი დირექტორი

5.1 გამგეობის გადაწყვეტილებათა აღსრულება, ასოციაციის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება აღმასრულებელ დირექტორს;

5.2 აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს წევრთა საერთო კრება 3 (სამი) წლის ვადით, ხოლო პირველი ვადის ამოწურვის შემდეგ აღმასრულებელ დირექტორს თავისი შემადგენლობიდან აირჩევს გამგეობა ყოველ 3 (სამ) წელიწადში ერთხელ;

5.3 აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილება გრძელდება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც ახალი აღმასრულებელი დირექტორის არჩევამდე;

- 5.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელ დირექტორად დანიშნოს ავთანდილ აბდუშელიშვილი - პირადი N01016008553, მის.: ქ. თბილისი, გორგასლის 1-ლი ჩიხი 75ა, ბინა 4.
- 5.5 აღმასრულებელი დირექტორი ახორციელებს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე. იგი ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის, საფინანსო დოკუმენტებს, გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომლებიც სავალდებულოა ასოციაციის ყველა თანამშრომლისათვის. აღმასრულებელი დირექტორი კოორდინაციას უწევს ასოციაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
- 5.6 აღმასრულებელი დირექტორი მინდობილობის გარეშე ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად წარმოადგენს ასოციაციის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე. იგი ორგანიზებას უწევს სააერთო კრების და გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს ასოციაციის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს;
- 5.7 აღმასრულებელი დირექტორი მინდობილობის გარეშე ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში. მას ენიჭება სრული და შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ნებისმიერ მესამე პირთან ურთიერთობაში;
- 5.8 აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია, რომ ასოციაციის საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 5.9 აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია, ათი წლის განმავლობაში შეინახოს კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებით;
- 5.10 აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ მიაწოდოს ანგარიში გამგეობას შესრულებული სამუშაოს შესახებ და აცნობოს მას თავისი საქმიანობის შესახებ;
- 5.11 აღმასრულებელი დირექტორი უფლებამოსილია:
- გამგეობის თანხმობით დანიშნოს და გაათავისუფლოს ასოციაციის თანამშრომლები;
 - დადოს სავალდებულო ძალის გარიგებები, გასცეს მონდობილობები;
 - გახსნას ანგარიშები, გადაწყვიტოს კანონმდებლობით და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

მუხლი 6. ასოციაციის ქონება, საქმიანობა და პასუხისმგებლობა

- 6.1 ასოციაციის უფლება აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარმართოს სამეწარმეო და სამეურნეო საქმიანობა;
- 6.2 ასოციაციის ქონებას შეედგენს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის საჭირო ძირითად ფონდებს, საბრუნავ სახსრებსა და სხვა ფასეულობებს, რაც ასახულია ასოციაციის დამოუკიდებელ ბალანსში;
- 6.3 ასოციაციის ფინანსურის სახსრების წარმოქმნის წყაროებია:
 - საწევრო შენატანები;
 - გრანტები, ნებაყოფლობითი საქველმოქმედო შენატანები და შემოწირულობები;
 - ასოციაციის მიერ მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;
 - ასოციაციის მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შემოსავლები;
 - სხვა წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 6.4 ასოციაციის შეუძლია საკუთრებაში იქონიოს ქონება, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად;
- 6.5 ასოციაციის სამეწარმეო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული ქონება ასოციაციის წევრთა შორის არ გადანაწილდება და იგი გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- 6.6 ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონება შესაძლოა გასხვისდეს, თუ გასხვისება ემსახურება ასოციაციის საქმიანობას, ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 7. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- 7.1 ასოციაციის საქმიანობა წყდება:
 - ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;
 - სასამართლოს გადაწყვეტილებით.
- 7.2 ასოციაციის საქმიანობა წყდება მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით;
- 7.3 ასოციაციის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. ასოციაციის ლიკვიდაციის დროს წევრთა საერთო კრება ამტკიცებს სალიკვიდაციო პროცედურას;

7.4 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილები არიან:

- ასოციაციის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირები;
- მსგავსი მიზნებისა და საქმიანობის მქონე არასამეწარმეო იურიდიული პირები.

7.5 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

დანართი - ასოციაციაში წევრად მიღების განცხადების ნიმუში

ა(ა)იპ “საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის“
ადმასრულებელ დირექტორს

მოქალაქე: -----

მის.: -----

ტელ.: -----

განცხადება

(ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე)

გთხოვთ, მიმიღოთ ა(ა)იპ “საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის“
წევრად.

ვადასტურებ, რომ მოტივირებული ვარ, რათა ხელი შევუწყო ასოციაციის მიზნების
მიღწევას და დავიცვა ასოციაციის წესდება.

განმცხადებელი:

თარიღი: